MES 6 20 0000670420

06/08/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23.07.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:54 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: თამარ ტუფინაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის მდივანი;
5. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
6. **პაატა ბრეკაშვილი**- შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
7. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

8. **ირმა წერეთელი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	საფფეთ ბაირაქთუთან	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	გოდერძი ბუჩაშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პრორექტორი	I
3	ნინო ჯოჯუა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	ვახტანგ ზაალიშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	ერმილე მესხია	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი	II
7	ნინო მამულაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II
8	ზურაბ ქავთარაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პირველი კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი	III
9	გიორგი გოგიბერიძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის	III

			სამსახურის უფროსი, პროფესორი	
10	მამუკა ჯორბენაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	კონსტანტინე ებრალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	დავით ელისაბედაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	მარინა ხარატიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. ამავე პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობა დააკისრა საბჭოს წევრს - თამარ ტუფინაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ზემოაღნიშნული დღის წესრიგი.

1. პირველი საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შედარებითი კომერციული სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 07 აგვისტოს №119 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	შედარებითი კომერციული სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. №2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი ონლაინ რეჟიმში განხორციელდა, პროცესი იყო საკმაოდ კონსტრუქციული. სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 90 კრედიტს, საიდანაც 30 კრედიტი ეთმობა სავალდებულოს საწავლო კურსებს, 24 კრედიტი - პროფესიულ პრაქტიკას, ხოლო 36 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს. კვლევით კომპონენტად წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც მინიჭებული აქვს 30 კრედიტი.

ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა შემუშავებულ რეკომენდაციებზე:
1) სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მასზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები, რათა სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტური იყოს იმ საგანთა ბადის პირობებში, რაც პროგრამით იქნება შეთავაზებული (იგულისხმება სავალდებულო სასწავლო კურსები);
2) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს კვლევა, სტატისტიკურად უარყოფითი ტენდენციის გამომწვევი მიზეზის გამოსარკვევად და აღმოსაფხვრელად;

3) აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა უფრო მკაფიოდ გაიწეროს;
4) პროგრამის შინაარსი და მისი მაფორმირებელი სავალდებულო სასწავლო კურსები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ამცირებს. მიზანშეწონილია, გადაიხედოს პროგრამის შინაარსის მაფორმირებელი სასწავლო კურსები და მათი მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნაში საუბარია არა შეუსაბამობებზე არამედ საფრთხეებზე რაზეც ექსპერტები მიუთითებენ. დაწესებულებას რეკომენდაციების მიმართ განსაკუთრებული რეზისტენტულობა არ გააჩნია, მაგრამ დაწესებულების მოსაზრებას მაინც მოახსენებენ საბჭოს. პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაჩნდა შეგრძნება, რომ პროგრამის მიზნები ცოტათი განსხვავებულად აღიქმებოდა. არგუმენტებს რაც შეეხება, კომერციული სამართალი საკმაოდ ფართო სფეროა, მასში არ შედის მხოლოდ კერძოსამართლებრივი მიმართულებები და შესაძლებელია მოიცავდეს ასევე, საჯარო სამართლებრივ მიმართულებებსაც. როგორც კურიკულუმიდან ჩანს პროგრამაზე საკმაოდ მრავალფეროვანი საგნებისა და დისციპლინების შეთავაზება მოუწიათ, თუმცა პროგრამას არ გააჩნია ამბიცია, რომ კომერციული სამართლის ყველა მიმართულებით გაუღრმავოს კომპეტენცია სტუდენტს.
აქედან გამომდინარე სტუდენტის აკადემიური თავისუფლება სამაგისტრო დონეზე მიიჩნიეს, რომ იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი თემა, ამიტომაც გამახვილდა ყურადღება სავალდებულო კურსების დისციპლინების რანგში (30 კრედიტის რაოდენობით) უნარებზე და საბაზო სპეციალიზაციის საგანზე. შედეგების მიღწევადობასთან დაკავშრებით ცოტათი რთულია დაეთანხმოს დაწესებულება ექსპერტებს, რადგან პირველ რიგში პროგრამა არ ისახავს მიზნად, რომ მიიღწეს ყველა იმ მიმართულებით გაღრმავების შედეგი, რაც კომერციულ სამართლის მიმართულებაში მოიაზრება. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა, რომ პროგრამის შედეგების მიიღწევა სავალდებულო საგნებით და კვლევითი კომპონენტით არის შესაძლებელი, ასე არ არის, რადგან შედეგების მექანიზმიც იმდაგვარად არის გაწერილი, რომ 30 კრედიტი სავალდებულო საგნები, 24 პრაქტიკული კომპონენტი, 30 სამაგისტრო ნაშრომი და შუაში 120 კრედიტამდე და 6 საგანი უნდა აირჩიოს სტუდენტმა, იმისთვის, რომ პროგრამა დაასრულოს რაც აქრობს საფრთხეს იმისა, რომ რომელიმე შედეგზე ვერ გავიდეს დაწესებულება.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტი მიუთითებს ორ შედეგზე მაგალითისთვის - ეს არის "ფლობს კომერციული სამართლის სისტემური მოწესრიგების შესახებ სიღრმისეულ ცოდნას" - აქ ჩაშენებულია კლასიკური სამართლის ქვედარგები, საკორპორაციო, სანივთო, სავაჭრო, თუმცა ჰქონია, რომ ეს გახდა არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი, არ გულისხმობენ, რომ თითოეულ მათგანში კვალიფიკაციას აამაღლებს პროგრამა, პირიქით სისტემური ჩაშენების სიღრმისეულ ცოდნას მისცემს სტუდენტს.
მეორე შედეგი არის უნარების მეოთხე ქვეშედეგი, სადაც საუბარია ალტერნატიულ მართლმსაჯულების პროცესში სტუდენტის ხელშეწყობაზე. ამასთან დაკავშირებითაც პროგრამას არ აქვს მიზანი, რომ სტუდენტმა დამოუკიდებლად მართოს ეს დავები, ფორმულირებაში წერია, ხელშეწყობა და თანადგომა. ცხადია ამ პროცესებში მონაწილეობას სტუდენტი მიიღებს იმ კონცენტრაციის ფარგლებში რა ფარგლებშიც ცოდნა აქვს.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორი ჰიპოთეზური სტუდენტია არჩეული და მათი არჩევანის ბოროტად გამოყენების მაგალითებია, რაც შეიძლება აჩენდეს კითხვებს, არჩევითი საგნები ორია გამოკვეთილი, მაშინ როცა 120 კრედიტის ფარგლებში 12 კრედიტის არჩევის დროს პროგრამას ვერ ამთავრებს და დამატებით კვლავ სჭირდება საგნების არჩევა. საუბარია არა სავალდებულო საგნების 90 კრედიტის ოდენობაზე, არამედ 120 კრედიტზე,

რომელსაც გაჰყავს სტუდენტი შედეგებამდე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შეიძლება განსხვავებული მეთოდი არსებობდეს შედეგებზე გასვლის, მაგრამ რა არის ცუდი იმაში, რომ სხვა მოდელით გაიყვანონ სტუდენტი შედეგზე 120 კრედიტის ფარგლებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ არ არიან პრინციპულად წინააღმდეგები სავალდებულო საგანთა ბადის გადახედვის, მიესალმებიან ექსპერტების მოსაზრებას და თვლიან, რომ შესაძლებელია ამის გათვალისწინებაც. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კარგი იქნებოდა რეკომენდაცია მიეცათ ექსპერტებს, თუ რომელი კურსების გადატანას მიიჩნევენ მიზანშეწონილად სავალდებულო საგანთა ბლოკში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დასკვნის თანახმად „უნივერსიტეტს აქვს ცენტრალიზებული ხარისხსის მართვის სამსახური, რომელიც შედგება სამი თანამშრომლისგან. ცალკე ფაკულტეტს არ ჰყავს ხარისხის მართვის კოორდინატორი. მთლიანობაში ამ სისტემითა და შემადგენლობით რთული წარმოსადგენია ხარისხის შენარჩუნება.“ აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. კერძოდ, 4 თანამშრომლისგან შედგება სამსახური, სამსახურის უფროსი და სამი სპეციალისტი. თითოეული მათგანი მიმაგრებულია ფაკულტეტთან და პროგრამასთან. ამის შესახებ მისწრეს ექსპერტებსაც, მაგრამ მოსაზრება არ იქნა გაზიარებული. ამასთან, არ არის უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტი და რაიმე სპეციალური სტანდარტი ზეამოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმავე ქვესტანდარტში არის მოყვანილი ციფრები, რომლითაც აღწერენ უარყოფით ტენდენციებს. აღნიშნული არ წარმოადგენს ზუსტ ინფორმაციას, რადგან როდესაც არის მცირე რიცხვები, პროცენტული მაჩვენებლების მოყვანა არის შეცდომაში შემყვანი. პროცენტულ მაჩვენებლებთან ერთად აუცილებლად უნდა იყოს საუბარი რიცხვობრივ მაჩვენებელზეც. მისთვის ასევე გაუგებარია, რატომ არის საჭირო წარჩინებით კურსდამთავრებულთა ყოლა ხარისხის განსაზღვრისთვის. ასევე, კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება იკლებდეს, მაგრამ იმატებს ჩარიცხვის მაჩვენებელი. შესაბამისად, როცა საუბარია მცირე რიცხვებზე მნიშვნელოვანია, რომ რიცხობრივი მაჩვენებელიც იყოს. სტატუსის შეჩერებას რაც შეეხება, 13 სტუდენტიდან 5-მა შეიჩერა სტატუსი. ეს არის 67%, სტუდენტების მიერ სტატუსის შეჩერება არ არის გამოწვეული შეუსაბამო ლიტერატურით, პროფესორთა კვალიფიკაციით, ყოველი სემესტრის ბოლოს აფასებენ პროცესებს, ხარისხის სამსახური ამუშავებს ამ მონაცემებს, ყველა ეს შედეგი ანალიზდება და პრობლემა არ დაფიქსირებულა. ასევე სტატუსშეჩერებულმა სტუდენტებმა მალევე აღიდგინეს სტატუსი, უნივერტეტის პოლიტიკა არის მჭიდრო ურთიერთობა უნივერტეტთან რა დროსაც დადგინდა, რომ მიზეზი სტატუსის შეჩერების ძირითადად არის პირადი საკითხები.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დასკვნის ტექსტში ასევე იკითხება, რომ სტუდენტებს და კუსდამთავრებულებს არაერთგვაროვანი პასუხები აქვთ, იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა კურსის კურდამთავრებულებთან მოხდა გასაუბრება სავსებით ბუნებრივია, რომ მათ შესაძლებელია განსხვავებული პასუხები ჰქონოდათ. ასევე უნივერტეტში მუდმივად ტარდება კვლევები, მაგალითისთვის წინა სემესტრში ჩატარდა კვლევა საღამოს საათებში საუნივერსიტეტო სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ეს კვლევები ჩატარდა რეგულარული კვლევების გარდა, ამავე დროს გამოკითხვის პროცესი დასკვნაში არაა სწორად აღწერილი, კერძოდ, დასკვნაში (გვ.34) არის მოცემული ტექსტი, „ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებს ეგზავნებათ კითხვარი, სადაც ისინი აფასებენ ლექტორებს, აღნიშნულ კითხვარს აგროვებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და უგზავნის ლექტორებს, რომლებიც ეცნობიან და პროგრამის ხელმღვანელთან კონსულტაციის შედეგად ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან პრობლემა.“ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ კითხვარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ აგზავნის სტუდენტებს სისტემაში ეგზავნებათ და ყველა სტუდენტს სისტემაში აქვთ წვდომა.

რაც შეეხება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ პროფესიულ განვითარებას, სემინარების, „ვორქშოფების“ საშუალებით. 16 „ვორქშოფი“ ჩატარდა 2019 წელს, 2020 წელს ჩატარდა ხარისხობრივ კვლევებთან „ვორქშოფი“, ასევე, ჩატარდა სემინარი პლაგიატის პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით. ბიუჯეტს რაც შეეხება, წარმოდგენილი ბიუჯეტი ფორმულირებულია მხოლოდ პირველკურსელებით, მეორე კურსელები არ ჰყავთ, ამის მიუხედავად უნივერსიტეტს ხარჯები არ შეუმცირებია და ხარჯების დამატებიტით გაღება ხდება უნივერტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების დაფინანსება ხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან და ეს არის გაწერილი შესაბამისი დებულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველ წელს ამუშავებს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ანგარიშებს, ამის თაობაზეც მიწოდებულ იქნა ინფორმაცია ესპერტებისთვის, მას შეუძლია კონკრეტული რიცხვები დაასახელოს სამართლის აკადემიური პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით წლების მიხედვით.

ესპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი მახარობლიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტები ბუნებრივია, დაეყრდნენ იმ რიცხვებსა და მონაცემებს რაც უნივერტეტის მხრიდან იქნა მიწოდებული, ვერ მიიღებს იმ არგუმენტს, რომ რიცხვებით მოხდა მანიპულირება. დასკვნაში საუბარი არ არის უარყოფით ტენდეციებზე, არამედ ხარისხის მექანიზმის იმ მიმართულებაზე, რომ იქნებ რაიმე პრობლემა ყოფილიყო და შესაბამისი ჩართვის მექანიმზი უნდა არსებულიყო, ანუ აქცენტი შემოწმების პროცესზე იყო და არა იმაზე, რომ აუცილებლად რამე უნდა გაკეთებულიყო.
მეორე საკითხს რაც შეეხება, უნივერტეტის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ არ არის სახელმწიფო უნივერტეტი ვერ იზიარებს, რადგან კანონმდებლობა თანაბარ კონტექსტში განიხილავს ამ კუთხით სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს. პირველი და მეორე სტანდარტი შედეგების კუთხით შესაძლებელია ფარავს ერთმანეთს, ლოგიკურია, რომ ეს ორი სტანდარტი დაკავშირებულია ბუნებრივია 120 კრედიტიან სამაგისტრო პროგრამა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან, წინა პლანზე პრაქტიკული კომპონენტი უნდა იყოს, პრაქტიკულ კომპონენტს დამატებული კვლევა გვერდით არის გაწეული. პრაქტიკული კომპონენტი გადის პრაქტიკული უნარის გამომუშავებაზე და ის როგორც წესი თეორიული ნაწილის სწავლის შედეგში არ მონაწილეობს.
იმ კითხვას რაც შეეხება, რომ ესპერტებმა დაასახელონ ის საგნები, რომლებიც ძირითად საგნებში უნდა იყოს ამოტანილი, ესპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამის ასე თქმა არის რთული, რადგან პროგრამის მიზანი და შედეგი იწერება კონკრეტულ სასწავლო კურსებზე დაყრდნობით. შესაბამისად საგნების ცვლილება გამოიწვევს ამ ფორმულირების ცვლასაც.
ჰიპოტეტურ მოდელთან დაკავშირებით ვერ დაეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების მოსაზრებას, რადგან ორი საგნის აღებით შემოწმება უარყოფით შედეგებთანაა დაკავშირებული, რადგან ნებისმიერი საგნების აღების კომბინაციის შემთხვევაში სტუდენტი უნდა გავიდეს ერთიდაიგივე შედეგზე, ეს იყო ამ რეკომენდაციის ძირითადი დატვირთვა. ასევე მან აღნიშნა, რომ ძირითადი მიზანი ამ პროცესის იყო პროგრამის გაუმჯობესებაზე და განვითარებაზე ხელის შეწყობა, რასაც ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები ემსახურება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია ექსპერტა ჯფგუფის პოზიტიური დამოკიდებულება და განვითარებისკენ მიმართულ მოქმედებები. მათ დღევანდელი პოზიციით იმის ჩვენება უნდოდათ, რომ პროგრამა არ არის ავტომატიზირებულ ფორმატში და მიმდინარეობის პროცესშია, ჩართულები არიან შესაბამისი პირები, ეს გულისხმობს, იმას, რომ შედეგებზე გასვლასთან დაკავშირებით საფრთხეები არ იქმნება. დაწესებულება თვლიდან, რომ წარმოდგენილი მოდელით მიღწევადია ის მიზნები და შედეგები, რაც პროგრამაში იყო მოცემული. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსმა დაამატა, რომ არ გულისმობდა, რომ მანიპულირებას ახდენდნენ ექსპერტები. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ პროცენტული მაჩვენებელის განხილვა შესაძლოა შეცდომაში შემყვანი ყოფილიყო.

ესპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე დაამატა სტატისტიკასთან დაკავშირებით, რომ პროცენტული მაჩვებენებელი გამოხატავს სწორ სტატისტიკას და ვერ დაეთანხმება, რომ ციფრებით უნდა მოხდეს და არა პროცენტული მაჩვენებლით გამოხატვა. ბიუჯეტს რაც შეეხება, როცა საუბარია საერთაშორისო კონფერეციებზე, სულ არის 3000 ლარი გამოყოფილი და არ ჩანს, რომ იგულისმება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, თუმცა ვიზიტის დროს გამოითქვა პოზიცია, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება დაფინანსება და შეიძლება აქ არ გამოჩენილიყო ეს თანხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ეთანხმება მოსაზრებას აკრედიტაციის პროცესის განმავითარებელ ფუნქციაზე. ამასთან, მისი მოსაზრება ეხება ორ საგანს სამართლებრივი წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები და სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება. პირველს საგანს რაც შეეხება საგნის შინაარსი და სახელწოდება ერთმანეთს არ ემთხვევა, მისი მოსაზრებით უმჯობესია, რომ დაიხვეწოს. უპირველეს ყოვლისა სამართლებრივი წერა ეს არის იურიდიული ტექნიკის ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტების შედგენაზე, ხოლო სილაბუსში განხილულია აკადემიური წერის საკითხები. სახელმძღვანელოდ მითუთებული წიგნის სათაურიც დამაბნეველია, რადგან მასში გამოყენებულია, როგორც აკადემიური წერის, ასევე სამართლებრივი წერის საკითხები. სამართალშემოქმედების პროცესი არის სამართლებრივი წერის ნაწილი, მაგრამ არ არის აკადემიური წერის ნაწილი. განმარტა, რომ თუ სამართლებრივ წერას ეხება საგანი მაშინ აკადემიური წერა არ უნდა იყოს განხილული, ხოლო თუ აკადემიურ წერას ეხება (თვლის, რომ უნივერტეტს ეს მიზანი აქვს რადგან სამაგისტრო ნაშორმის დასაწერად ამზადებს სტუდენტს) მაშინ სამართლებრივი წერა არ უნდა იყოს განხილული. ასევე, ლიტერატურის ნაწილის გადახედვაც მიზანშეწონილია, რადგან გარკვეული ნაწილი მოძველებულია. საკვირველია ის, რომ სილაბუსის ავტორის წიგნი არაა მიითებული, რაც შესაძლებელი იყო ჩართულიყო საგანში. მეორე საგანს რაც შეეხება, სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება კარგი საგანია, მაგრამ ერთი სერიოზული პრობლემა აქვს, სწავლის შედეგები ცოტა აცდენილია სილაბუსის შინაარსს, მთლიანად ორიენტირებულია ამერიკულ სამართალზე და არა თუნდაც ანგლო-ამერიკულზე, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაემატოს სილაბუსს ის მიმართულება რაც საქართველოშიც გამოადგებოდა სტუდენტს, არის ლიტერატურა, ქართულ ენაზე წიგნები, ის სახელმძღვანელო და ლიტერატურა რაც გამოადგება საქართველოში მომუშავე იურისტს. აასევე, კარგი იქნება თუ სილაბუსის თემები გადაიხედება, გამდიდრდება, როგორც ლიტერატურით ასევე თემატურად ქართული რეალობის გათვალისწინებით, ეს საშუალებას მისცემს იმ შედგეების მიღწევას რაც მითითებულია სილაბუსში. შეჯამების სახით დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ორივე საგანი ძალიან კარგია და საჭიროა, უბრალოდ უმჯობესია დაერქვას ის რაც რეალურად ჰქვია და შინაარსობრივად შესაბამისად აისახოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსს ჰყავს თავისი ავტორი და აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევის კუთხით გარკვეულწილად პროგრამის ხელმძღვანელი შეზღუდულია. ასევე დაამატა, რომ საკამათოა რატომ არ შეიძლება ერთ სილაბუსში სამართლებრივი და აკადემიური წერის ინტეგრირება. დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, რომ არ უგულისხმია მსგავსი რამ, მისი განმარტებით, სილაბუსის სათაური და შინაარსი უნდა იყოს შესაბამისობაში და ინტერგაცია არ წარმოადგენს პრობლემას. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა, აკადემიური წერის და სამართლებრივი წერის ინტეგრირების მნიშვნელობას იურისტებისთვის, რაზეც საბჭოს წევრი დაეთანხმა, უბრალოდ კვლავ გაუსვა ხაზი, რომ

მნიშვნელოვანია სწორად იყოს სათაური და შინაარსი ასახული, ასევე კარგი იქნება ამ ორი საგნის გადახედვა საკითხების წყობის თვალსაზრისით რაც გაუმჯობესებს პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკულ ტენდენციები და ამერიკულ საერთო სამართლის სისტემაში დამკვიდრებულ მეთოდები შედარებითი სამართლებრივი პროგრამისთვის ღირებული კომპონენტი იყო. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, სილაბუსის ავტორს არ შეშლია, რომ დიდი აქცენტი გადაიტანა ანგლოამერიკულ მიდგომებზე. დიმიტრი გეგენავამ კვლავ დააზუსტა, რომ არ გულისხმობს იმას, რომ ამერიკული არ ისწავლებოდეს ის გულისხმობს, რომ ეს შედარებითი ელემენტები გამოიკვეთოს, ქართული სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისითაც დაემატოს საკითხები, რათა ეს ცოდნა ტრანსფორმირებადი გახდეს. მიზანშეწონილი იქნება მეტი პრაქტიკული კომპონენტის და ქართული რეალობიდან გამოდმინარე ელემენტების შეტანა, რადგან მიღწევადი იყოს მიზნები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლექციების მიმდინარეობისას დასწრების შედეგად შეუძლია თქვას, რომ ამერიკულ სამართალზე არაა მხოლოდ კონცენტირებული და ქართულ ელემენტებზეც არის მსჯელობა ლექციების დროს. დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, რომ მაშინ კარგი იქნება ეს აისახოს სილაბუსშიც, რაზეც მხარეები შეთანხმდენენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა ჰკითხა დაწესებულებას რომელიმე პროგრამის ანალოგი თუ მოიძიეს, საზღვარგარეთ ან საქართველოში, სამოდელო პროგრამა ხომ არ ჰქონიათ პროგრამის შედგენის დროს. დაწესებელების წარმომადგენელმა განმარტა, პროგრამა ეფუძნება რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის პროგრამას, მაგალითად, ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო შედარებით სამართლის პროგრამას. ამასთან პროგრამის გარე შეფასების მეთოდების გამოყენებით, რამდენიმე უცხოელი პარტნიორის წარმოდგენილი მოსაზრებები აქვთ, ეს ექსპერტები მუდმივად ჩართულნი არიან პროგრამის განვითარების პროცესში. ასევე მოსაზრებები უჩნდებათ იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეიძლება პროგრამა განვითარდეს, მაგალითად ერთ-ერთი კომპონენტი არის ინტელექტუალური სამართლის არჩევით კურსად დამატება და ა.შ. ამდენად პროგრამა შედარებულ იქნა უცხოური პროგრამების ანალოგებთან და ცალკეული კომპონენტები გადმოტანილ იქნა.
საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რომ სავალდებულო კომპონენტებში აქვთ ძირითადი საგანი - „შედარებითი კერძო სამართალი“, სადაც მითითებულია ცნობილი გერმანელი ავტორის წიგნი სახელმძღვანელოდ, რომელიც გამორჩეულია ამ მიმართულებით. პროგრამაში ცოდნა და გაცნობიერების კუთხით (მე-2 და მე-3 კომპონენტი) ძალიან მნიშვნელოვანი მომენტებია. დაკონკრეტებულია კომერციული სამართლის სისტემა თუ რას ნიშნავს, არის ნახსენები ტრადიციული ქვედარგები, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში საკორპორაციო სამართალი, სანივთო სამართალი და ა.შ, ფიქრობს, რომ ესენი ქვედარგებად ვერ ჩაითვლება, არამედ წარმოადგენს დარგებს. მესამე პუნქტი - ცოდნა და გაცნობიერება გულისხმობს, რომ სტუდენტი ფლობს სამართლის ტრადიციული ოჯახების შესახებ ინფორმაციას, რომელიც ამ წიგნში არის მოცემული. მისი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ პროგრამის ძირითადი მიზანი რამაც შედეგზე უნდა გაიყვანოს სტუდენტი, არის ის, რომ ფართო დიაპაზონი მისცეს სტუდენტს, მაშინ მხოლოდ ერთი სავალდებულო საგანი როგორიც არის „შედარებითი კერძო სამართალი“ ამ ყველა კომპონენტს როგორ უზრუნველყოფს? თვითონ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში, რომელიც ძალიან კარგი წიგნია, იქაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კონტინენტური სამართლის ქვეყნების მიმართულებებზე. ძალიან პატარა ნაწილი ამ წიგნის ეხება სკანდინავიური ქვეყნების სამართალს, ასევე რელიგიურ სამართალს. ასევე საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ლექტორის მასალებზე წვდომა არ აქვს და მისთვის არ ჩანს ეს თემები ლექტორის მასალებით მაინც თუ იფარება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ნამდვილად აქვთ ეს მასალები და მათი გაზიარება შეუძლიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამების გაკეთება შედარებით კომერციულ, სისხლის სამართალში და ა.შ ძალიან რთულია. ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე, რომ შესაძლებელი გახდეს ამათუ იმ სფეროში საკითხების შედარებით-სამართლებრივ პრიზმაში განხილვა. ამიტომ ეძებს არჩევით სილაბუსებში ამის შესაძლებლობას, არჩევითი საგნებიდან მხოლოდ ერთადერთია, რომელიც განეკუთვნება საჯარო სამართლებრივ საგანს, „შედარებითი საგადასახადო სამართალი" (კონკურენიცის სამართალი საკამათოა, რომელ მიმართულებას ეკუთვნის) დანარჩენი ყველა არის კერძოსამართლებრივი საგნები.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა სილაბუსებში არსებულ ხარვეზებზე, კერძოდ, შედარებითი საკორპორაციული სამართალი, რომ ვნახოთ ამ საგნის სილაბუსი გარკვეულწილად გულდასაწყვეტია, რადგან სილაბუსში არაა შესაბამისი ლიტერატურა და თემატიკა გამოყენებული. მაგალითად: პირველი ლექცია, თემა I. საკორპორაციო სამართლის ცნება და არსი განსახილველი საკითხები: საკორპორაციო სამართალი, როგორც სამართლის დარგი; საკორპორაციო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში; საკორპორაციო სამართლის წყაროები აშშ-სა და ევროკავშირში; საკორპორაციო სამართლის პრინციპები; ქართული საკორპორაციო სამართლის ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე ტენდენციები. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს თითქმის იგივეა რასაც უნდა ასწავლიდნენ ბაკალავრიატის საფეხურზე, ლიტერატურასაც თუ დავაკვირდებით, თუნდაც მისი წიგნი, ეს ყველაფერი მოცემულია ბაკალავრიატის საფეხურზე. შესაბამისად, ამ საკითხების დუბლირება იყო მიზანშეუწონელი.

მეორე საკითხს რაც შეეხება თუ დავაკვირდებით იგივე სილაბუსის მეორე ლექციას იდენტურია, მით უფრო, რომ ლიტერატურა ასევე არის იდენტური. მესამე თემაში აუხსნელია მისთვის თუ რატომ ჩნდება ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაფუძნების საკითხები, ეს საკორპორაციო სფეროს მომიჯნავე სფეროს პრეროგატივაა. ასევე, ამავე სილაბუსში მესამე თემაში ბანკების გამოყოფას რა სისტემური კავშირი აქვს წინა ან მომდევნო საკითხებთან გაუგებარია. მეოთხე თემა - მოძღვრება ამხანაგური ტიპის საზოგადოების შესახებ, აქაც საკითხები მეორდება, ლიტერატურასაც თუ დავაკვირდებით ძირითად ლიტერატურაში საკმაოდ მოძველებული წიგნია, რომელსაც უთითებენ ბაკალავრიატის საფეხურზე. შემდეგ მოდის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ევროკავშირის სამართლის განვითარება საქართველოში და მისი დანერგვა. შპს-ს დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხები ევროკავშირის საკორპორაციო სამართალის ჭრილში, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის საკორპორაციო სამართალი არის სუპრანაციონალური კორპორაციული სამართალი, ხოლო ევროპის სუპრანაციონალური სამართლებრივი ფორმა არის სააქციო საზოგადოება და ევროპის კოოოპერატივი, შპს-ს თაობაზე უნდოდათ შემოეტანათ, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. შესაბამისად ეს ხარვეზი დგინდება, თემატიკა უნდა იყოს რელევანტური. ესეთი საკითხები ძალიან ბევრია. ეს საგანი ამ შედეგზე სტუდენტს ვერ გაიყვანს, საგნის სახელწოდება და შინაარსი თავისი ლიტერატურით სხვადასხავაა. ასევე არის დუბლირება საკითხების. მაგალითად - კორპორაციული მართვის სილაბუსი. პირველი ეს არის შესავალი კოროპორაციულ მართვაში, ამ საკითხებსაც ასევე ეხება სილაბუსის ავტორი 8,9,10 ლექციებში, შემდეგ მოდის კორპორაციული მართვის მეორე თემა, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატიც - ესეც იმეორებს თავისი ლიტერატურით შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსში აღნიშნულ საკითხებს. ასეთი შემთხვევები არის ძალიან ბევრი. მაგალითად, მე-5 ლექცია აქციონერების მონაწილეობა კორპორაციულ მართვაში, შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსში ცალკე თავი ეძღვნება აქციონერთა უფლებებს და ლიტერატურაც იგივე არის. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მიზანი აქვთ ძალიან კარგი, თუმცა მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით ხარვეზებია. საბჭოს თავმჯდომარემ მოიყვანა ორი საგანი რომლის არჩევის შემთხვევაში, სასწავლო კურსის მიზანს სტუდენტი ნაკლებად მიაღწევს, თუ ეს სილაბუსები არსებითად არ შეიცვლება. არჩევით საგნებში აქვთ ევროკავშირის კომერციული სამართალი, ანდრეა ბორონი ასწავლის ძალიან კარგი პროფესიონალია. ევროკავშირის კონკურენციის სამართლის შემდეგ მოდის კანონისმიერი

ვალდებულებითი ურთიერთობები, მოთხოვნის უზრუნველყოფა, მტკიცების ტვირთი, თუმცა არცერთი საგანი არ არის შედარებითი სამართალი და არის ცალკე დარგი. ასევე პროგრამაში გათვალისწინებულია - შედარებითი სანივთო სამართალი, შედარებითი საკორპორაციო და შედარებითი საგადასახადო სამართალი. თუ ამ შედარებით კერძო სამართლის საბაზისო საგანთან ერთად სტუდენტი აირჩევს კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, სადაც შედარებით სამართლებრივი მეთოდები თითქოს არ არის როგორ გაიყვანს პროგრამა შედეგზე სტუდენტს. საბჭოს თავმჯდომარის კითხვა ასევე ეხება პრაქტიკას, რამდენად ხდება სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტების გავლა ისეთ იურიდიულ კომპანიებში, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო დავები და შესაბამისად ეს პროგრამა რამდენად რელევანტურია პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს სილაბუსების დეტალურად განხილვისთვის და გამოთქმული მოსაზრებებისთვის. მან განმარტა, რომ სილაბუსებში კომპარავისტული სახელმძღვანელოებიცაა მითითებულია, პროგრამა აგებულია ტრიადაზე, მოიცავს იმ კომპონენტებს რაც ბაზისს უქმნის კომპარავისტიკის თვალსაზრისით კვლევის მეთოდების უნარის გამომუშავებას. დარგსა და ქვედარგზე განმარტა, რომ არ ღირს სადაოდ, საკორპორაციო სამართალი, რა თქმა უნდა, დარგია უფრო მეტად. პროგრამის მიზანი არაა თითეული მიმართულებით სტუდენტს ცოდნა გაუღრმავოს, სტუდენტი გარკვეულწილად თავად გეგმავს, რომელი მიმართულებები აირჩიოს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კურსის შინაარსი პრაქტიკული კომპონენტებით გამდიდრებულია ტრიადის მიმართ. კაზუსი, რომელიც მოდის სტუდენტისთვის ამოსახსნელად არა მხოლოდ ქართული სამართლის, ასევე შედარებითი კონტექსტით არც თუ ისე ცუდ ბაზას ქმნის. პროგრამა აძლევს სტუდენტს საშუალებას მოიძიოს, იკვლიოს კომპარავისტულ ჭრილში. ის ეთანხმება საკორპორაციო სამართლის სილაბუსზე გამოთქმულ მოსაზრებებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მართალია სახელმძღვანელოები შეიძლება ისწავლება ბაკალავრიატზე, მაგრამ შეიძლება საკითხის უფრო გაღრმავება იგივე ლიტერატურით სხვა უცხოურ მასალებთან ერთად. დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკულ კომპონენტზე აღნიშნა, რომ 3 კლინიკა აქვთ, საიდანაც 2-ზე აკეთებს არჩევანს სტუდენტი. მოცემულია საადვოკატო კომპანიები, რომლებიც ემსახურებიან ტრანსნაციონალურ კომოპანიებსაც, შესაბამისად პროგრამა და პრაქტიკის კომპონენტი სრულად შესაბამისია. მეორე კომპონენტი საბაზო ცოდნას რომ კონკრეტულ კომპონენტს გაუმკლავდეს ამის გარეშე მის საგანს ვერ აბარებს სტუდენტი, 5-6 „ქეისი“ აქვს ამოსახნელი, რომანული, ფრანგული, გერმანული, ინგლუისური, ამერიკული სამართლის ნორმატივებზე დაყრდნობით. მართალია არის საგნები სადაც ნაკლებია შედარებითობის კომოპონენტი, მაგალითად ევროპული ანტიმონოპოლიური სამართალი. მაგრამ, პროგრამის დასრულებისთვის ორი საგანი არაა საკმარისი, სტუდენტმა უნდა აირჩიოს 6 საგანი, ხოლო ამ 6 არჩევითი სპეციალიზაციის საგნის, 30 კრედიტის სავალდებულო საგნების, 24 პრაქტიკული კომპონენტის, თეორიულ კურსში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის საშუალებით, წესით მიღწევად უნდა იყოს მიზნები. მართალია იდეალური არავინაა, მაგრამ განვითარების პერსპექტივა არსებობს.
საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა რამდენი სტუდენტი ჰყავთ პროგრამაზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ დაახლოებით 25 სტუდენტზეა გათვლილი პროგრამა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:55
დასრულების დრო:18:23

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 7

წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელიწადში ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 2

- **საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:
ა) გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მასზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები, რათა სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტური იყოს იმ საგანთა ბადის პირობებში, რაც პროგრამით იქნება შეთავაზებული;
ბ) საგანი - „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ გადაიხედოს, თემატიკა ჩამოყალიბდეს რელევანტურად და სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად;
გ) საგნებში „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ და „კორპორაციული მართვა“ აღმოიფხვრას დუბლირებები და საკითხების გადაფარვა;
დ) საგანი - „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“ გადაიხედოს და გათვალისწინებულ იქნას ის მასალა და საკითხები რაც ქართულ რეალობაზეც იქნება ორიენტირებული;
ე) საგნის - „სამართლებრივი წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ სახელწოდება და შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი და განახლდეს თანამედროვე ლიტერატურით.
ვ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს კვლევა, სტატისტიკურად უარყოფითი ტენდენციის გამომწვევი მიზეზის გამოსარკვევად და აღმოსაფხვრელად;
ზ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა უფრო მკაფიოდ გაიწეროს;
თ) პროგრამის შინაარსი და მისი მაფორმირებელი სავალდებულო სასწავლო კურსები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ამცირებს. მიზანშეწონილია, გადაიხედოს პროგრამის შინაარსის მაფორმირებელი სასწავლო კურსები და მათი მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან.
რჩევა:
სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ დარგობრივ მახასიათებელთან.

გადაწყვეტილება
"უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი კომერციული სამართლის“

სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურული ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 8 ოქტომბრის N189 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კულტურული ტურიზმი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010 ზ. გორგილაძე/ვაჟა-ფშაველას ქ. N19/32 საფოსტო ინდექსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამაზე თავად იყო ექსპერტთა ჯგუფის წევრი და ახლა უკვე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგების შემოწმებაში, როგორც ექსპერტი მონაწილეობდა.
მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული აქვს დაწესებულებას, თუმცა არის საკითხები, რომლებიც გამოდმინარე Covid-19-იდან გადაიდო და შეჩერდა, მაგალითად როგორიც არის ინტერნაციონალიზაციის პროცესი, ცხადია უნივერსიტეტი მზადაა, მიიღო გადაწყვეტილებები ქმედითია პროცესი, ნაწილი რეკომენდაციების გათვალისიწინებულია,

დანარჩენი რეკომენდაციების ნაწილი არის უფრო დინამიური, შორს გამიზნული რეკომენდაცია, რაც წაადგება საბაკალავრო პროგამას. ამაზე მზაობა აქვს უნივერსიტეტს. შეუთავსებლობა რეკომენდაციის შესრულებაში ან გაუთვალისწინებლობა ნამდვილად არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მუშაობენ პროგრამაზე და მადლობა გადაუხადა დამსწრე პირებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ასახულია თითეული ტიპის ცვლილება, პანდემიის გამო განვითარებული მოვლენების გამო ამ უნივერსიტეტსაც და სხვასაც პროცესის შეფერების აქვთ.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ნამდვილად წარმოადგენს ობიექტურ გარემოებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:39
დასრულების დრო: 18:54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„აუდიოვიზუალური ხელოვნება“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 8 ოქტომბრის N190 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ბათუმი 6010 ზ. გორგილაძე/ვაჟა ფშაველა 19/32.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი. აღნიშნულია, რომ ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე პროგრამის ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ მე-2 და მე-5 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია. ზოგიერთი სტანდარტის დასახელება შეცდომით არის მითითებული.

შესასრულებელი რეკომენდაციები იყო შემდეგი:

1.რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსების შესაბამისად შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა სამიზნე ნიშნულებით;

2. რეკომენდებულია, რუბრიკებში თითოეული კომპონენტის (ჰორიზონტალში) ქულები გაიწეროს რანჟირებულად. ამის გათვალიწინებით უზრუნველყოფილი იყოს:

ა) აბიტურიენტის შემოქმედებითი ტურის შეფასების კომპონენტებთან უწყისის შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) სპეციალობის ძირითადი კურსების სემესტრული გამოცდის შეფასების კომპონენტებთან უწყისის შესაბამისობაში მოყვანა;

გ) საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შეფასების კომპონენტებთან უწყისის შესაბამისობაში მოყვანა;

2.2. შემუშავდეს ,,სასწავლო პრაქტიკისათვის“ დღიურის წარმოების წესი და გაკონტროლდეს მისი განხორციელება.

3. რეკომენდებულია სპეციალობის ძირითადი კურსების (კინორეჟისორის ოსტატობის, ტელერეჟისორის ოსტატობის, კინომონტაჟის და ა. შ.) კრედიტების განაწილების სქემის მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნა - თემატური, ტექნიკური სირთულის, შინაარსობრივი სირღმისა და პრაქტიკული სამუშაოებისათვის გამოყოფილი კრედიტების ცვალებადობის ლოგიკური მტკიცებულება.

4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს აკადემიური პერსონალის ინფორმირების დონე და ჩართულობა პროცესში.

5. რეკომენდებულია, პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში გამოყენებულ იქნას კოლეგიური შეფასება, პროგრამის უცხოურ ანალოგებთან დადარება და პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების და შედეგების გათვალისწინებით, უწყისების შესბაამისობაში მოყვანა შესრულებულია, რანჟირებულად გაიწერა თითეული ქულები შესრულებულია. რეკომენდაცია 2.2. ბსხუ-ში ,,სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ“ დებულებაში განსაზღვრულია პრაქტიკის ორგანიზებისა და ჩატარების პროცედურული საკითხები, აღწერილია პრაქტიკის მიმდინარეობის, საბოლოო შედეგების შეფასების, პრაქტიკის განხორციელებაზე მონიტორინგის მექანიზმები. ,,სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ“ დებულების საფუძველზე და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მომზადებულია სასწავლო-სტუდიური და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის სილაბუსები.
რაც შეეხება სპეციალობის ძირითადი კურსების კრედიტების განაწილების სქემის მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნას, ეს დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი და ეს რეკომენდაცია სრულყოფილად არაა შესრულებული.
ექსპერტთა რჩევების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა 2 კრედიტიანი კურსი.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ რჩევების დიდი ნაწილიც შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებული აქვთ, ტენიკური შეცდომაც გასწორებულია სტანდარტის დასახელებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:39
დასრულების დრო: 18:54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე-2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ